

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი  
საბაკალავრო პროგრამა ბიზანტიურ ფილოლოგიაში

საბაკალავრო პროგრამის დასახელება ბიზანტიური ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

პროგრამის კოორდინატორი: ასოც. პროფ. თინა დოლიძე

**პროგრამის ანალოგი**

ოქსფორდის უნივერსიტეტი:

<http://www.classics.ox.ac.uk/admissions/graduate/courses.html>

კემბრიჯის უნივერსიტეტი:

<http://www.admin.cam.ac.uk/univ/gsprospectus/subjects/classics/>

<http://www.admin.cam.ac.uk/univ/gsprospectus/subjects/mml/mml1.html>

ჰარვარდის უნივერსიტეტი:

<http://www.gsas.harvard.edu/programs/degree/special.html>

ოჰაიოს უნივერსიტეტი

[http://omega.cohums.ohio-state.edu/resources/interdisciplinary\\_projects/byzantine\\_studies/](http://omega.cohums.ohio-state.edu/resources/interdisciplinary_projects/byzantine_studies/)

ბონის უნივერსიტეტი

<http://www.uni-bonn.de/www/Philologie/Byzantinistik.html>

ათენის უნივერსიტეტი

<http://www.uoa.gr/uoauk/uoaindex.htm>

**სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება მიზანი:**

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს: ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ფილოლოგიის სპეციალისტები, მთარგმნელები ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ენიდან, ბიზანტიური ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით. პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტი შეიძინოს ცოდნა ბიზანტიური კულტურის სხვადასხვა დარგში (მხატვრული ლიტერატურა, ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ისტორია, ხელოვნება), იგი დაეუფლება ძველ და შუა საუკუნეების ბერძნულ ენას, ორიგინალში წაიკითხავს ბიზანტიურ ავტორთა თხზულებებს, შეისწავლის ბიზანტიურ-ქართულ მრავალმხრივ ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებს, შესძლებს გააცნობიეროს მათი მნიშვნელობა ქართველების, როგორც აღმოსავლეთქრისტიანული დასავლური ერის, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, ასევე ქართველ მოღვაწეთა წვლილს ბიზანტიურ კულტურაში.

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები ბიზანტიასთან; ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, ბიზანტიური ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები ბიზანტინისტიკის წამყვან

საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გაღრმავების აუცილებლობა.

## **შედეგი:**

პროგრამის დასრულების ბაკალავრს უნდა შეეძლოს:

შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნა, თარგმნილი ტექსტისათვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება; ბიზანტიური ლიტერატურისა და კულტურის აქტუალურ საკითხთა კვლევა არა მხოლოდ ბიზანტიური ეპოქის კონტექსტში, არამედ ანტიკურობასთან და თანამედროვეობასთან, ქართულ სამყაროსთან მიმართებითაც.

## **დასაქმების სფეროები**

საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, მეთოდოლოგიური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის

- გამომცემლობებში,
- მთარგმნლობით ცენტრებში,
- სხვადასხვა ფონდში,
- არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სექტორში,
- სასულიერო საგანმანათლებლო ცენტრებში და სხვ.

## **შეფასების ზოგადი წესი**

შეფასების სისტემა ასქულიანია და ოპტიმალურია ბიზანტიური ფილოლოგიის სწავლებისთვის, რადგან სხვადასხვა პარამეტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა. დისციპლინები შედგება სხვადასხვა კომპონენტებისგან მათი ინდივიდუალისტური სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი თანაფარდობა არ მოითხოვს ზედმიწევნით შტამპირებას. პრაქტიკულ სეგმენტში პრიორიტეტული აქცენტები კეთდება სემინარულ და პრაქტიკულ მეთოდოლოგიაზე. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

## **საბაკალავრო პროგრამა ბიზანტიურ ფილოლოგიაში**

### **ძირითადი სპეციალობის პროგრამა**

#### **სავალდებულო საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი**

მათ შორის:

უცხო ენა (სასურველია ახალი ბერძნული ენა)– 10 კრედიტი

კლასიკური ენები (სასურველია ლათინური ენა) –  
10 კრედიტი

ბიზანტიური ფილოლოგიის შესავალი – 5 კრედიტი

**კომპენტენციისათვის სავალდებულო საგნები – 20 კრედიტი, მათ შორის:**

თარგმანის თეორია და პრაქტიკა

(ქართული ენის სტრუქტურული ანალიზი + შუა საუკუნეების ბერძნულენოვანი ტექსტების თარგმნის თეორია და პრაქტიკა) 5 კრედიტი

ლინგვისტური კომპარატივისტიკა (ბერძნული ენათმეცნიერება) – 5 კრედიტი

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია (სასურველია ანტიკური ლიტერატურის ისტორია) 5 კრედიტი

## სპეციალობისათვის სავალდებულო საგნები - 80 კრედიტი

- ძველი ბერძნული ენა – 15
- ბიზანტიური ბერძნული ენა (ახალი აღთქმის, შუა საუკუნეების ბერძნული ენა) – 10
- ქრისტიანობის საფუძვლები – 5
- ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია – 5
- ბიზანტიური აგიოგრაფია (თეორიული კურსი და ტექსტების კითხვა) – 5
- ბიზანტიური ისტორიოგრაფია (თეორიული კურსი და ტექსტების კითხვა) – 5
- ბიზანტიური ჰომილეტიკა (თეორიული კურსი და ტექსტების კითხვა) – 5
- ბიბლიის პატრისტიკული ეგზეგეტიკა (თეორიული კურსი და ტექსტების კითხვა) – 5
- ბიზანტიური ეპოსი (თეორიული კურსი და ტექსტების კითხვა) – 5
- ბიზანტიური ჰიმნოგრაფია (თეორიული კურსი და ტექსტების კითხვა) – 5
- ბიზანტიის ისტორია – 5

**საბაკალავრო ნაშრომი – 10**

## არჩევითი საგნები - 25 კრედიტი

- ბერძნული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია – 5
- ბიზანტიური ცივილიზაცია – 5
- ბიზანტიური ხელოვნება და საქართველო – 5
- ბიბლიოლოგია – 5
- ლათინურენოვანი ტექსტები – 5/10
- ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია – 5
- ძველი სომხური – 5/10
- კლასიკური არაბული ენა – 5/10
- ძველი (კლასიკური) სირიული ენა – 5/10
- ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფია – 5/10
- ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები – 5
- ძველი ქართული მწერლობა და შუა საუკუნეების ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია – 5
- საქართველოს ეკლესიის ისტორია – 5
- ძველი ისტორიის საფუძვლები – 5
- ქრისტიანობის ისტორია – 5
- ქრისტიანული ასკეტიზმი – 5
- სიკეთისა და მშვენიერების კატეგორიები პატრისტიკულ ლიტერატურაში – 5
- ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობა (V-XII საუკუნეები) – 5
- ბიზანტიური რიტორიკის თეორია და პრაქტიკა – 5

## დამატებითი სპეციალობის პროგრამა 60 კრედიტი

### სავალდებულო საგნები 40

- ძველი ბერძნული ენა – 15
- ბიზანტიური ბერძნული ენა (ახალი აღთქმის, შუა საუკუნეების ბერძნული ენა) – 5
- ბიზანტიის ისტორია – 5
- ქრისტიანობის საფუძვლები – 5
- ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია – 5
- ბიზანტიური ტექსტები (არჩევით) – 5

### არჩევითი საგნები 20 კრედიტი

- ანტიკური ლიტერატურის ისტორია – 5
- ქრისტიანული ასკეტიზმი – 5
- ლათინური ენა – 10
- ბიბლიოლოგია – 5
- ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია – 5
- ბიზანტიური ჰომილეტიკა (თეორიული კურსი და ტექსტების კითხვა) – 5/10
- ბერძნული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია – 5
- ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები – 5
- ძველი ქართული მწერლობა და შუა საუკუნეების ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია – 5
- ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფია – 5/10
- ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია – 5
- ბიზანტიური ხელოვნება და საქართველო – 5
- ქრისტიანობის ისტორია – 5
- საქართველოს ეკლესიის ისტორია – 5
- სიკეთისა და მშვენიერების კატეგორიები პატრისტიკულ ლიტერატურაში – 5
- ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობა (V-XII საუკუნეები) – 5
- ბიზანტიური რიტორიკის თეორია და პრაქტიკა – 5

